ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №34
2023 წლის 6 ივნისი

დაბა ადიგენი

„ადიგენის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარმატებული ახალგაზრდების ფინანსური ხელშეწყობის წესის დამტკიცების შესახებ“ ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 სექტემბრის №48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ადიგენის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარმატებული ახალგაზრდების ფინანსური ხელშეწყობის წესის დამტკიცების შესახებ“ ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 სექტემბრის №48 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 14/09/2022 010250050.35.137.016593) კერძოდ:

ა)დადგენილებით დამტკიცებული დანართი 1-ის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. გუნდურ სახეობებში რაიონულ ჩემპიონატზე ოლიმპიურ სპორტის სახეობაში და დაიკავა საპრიზო ადგილი, მიიღოს ფინანსური ხელშეწყობა შემდეგი ოდენობით:

ა) პირველი საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში –1250 ლარი;

ბ)მეორე საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში – 800 ლარი.“;

ბ)დადგენილებით დამტკიცებული დანართი 1-ის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საპრიზო ადგილზე გასული სპორტსმენის/გუნდის ფინანსური ხელშეწყობის მიღების მიზნით წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) ინდივიდუალურ სპორტის სახეობაში სპორტსმენის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ხოლო გუნდური სპორტის სახეობაში გუნდის კაპიტნის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

გ) ჩემპიონატში საპრიზო ადგილის დაკავების დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) ინდივიდუალურ სპორტის სახეობაში სპორტსმენის პირადი ანგარიშის – საბანკო რეკვიზიტები, ხოლო გუნდური სპორტის სახეობაში გუნდის კაპიტნის პირადი ანგარიშის – საბანკო რეკვიზიტები, არასრულწლოვნის შემთხვევაში სპორტსმენის/ გუნდის კაპიტანის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის პირადი საბანკო რეკვიზიტები და არასრულწლოვნის დაბადების მოწმობა ან კანონიერი წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **შმაგი ბიძიშვილი**